



ა. გიტალოვი

ორგზის სოციალური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს დეპუტატი, კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინკის
სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო
ბრიგადის ბრიგადირი



ფიქრი პურზე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი 1972

ხორბლის მინდორთან ვდგავარ. ჯერ კიდევ გუშინ აქ ქარზე ქანაობდა თავთავიანი ხორბლის ოქროსფერი ტალღა. გუშინ მოცელეს უკანასკნელი სვეები. წამოვიდა მსხვილი წვიმა. მაგრამ გავიდა ერთი-ორი საათი და მოცელილი მასა მცხუნვარე მზის ქვეშ სწრაფად გაშრა. ღვარეულების გაყოლებით მიდიან მოსავლის ასაღები აგრეგატები. თვითეულ მექანიზატორს გული სიხარულით აქვს სავსე. ზამთრის ხორბალი „კავკაზი“ ჰექტარზე 50 ცენტნერსა და მეტს იძლევა. სხვა ჯიშები მოსავლით ნაკლებად უხვი არიან, მაგრამ წლევეანდელი წლის პირობებში ეს საწყენი არ არის...

გუგუნებენ მოტორები. მოცურავენ ველის ხომალდები. როგორც მკის დასაწყისში, ბიჭები ახლაც ჰექტარებს როდი დასდევენ, მთავარია ნალეწი. აი, უკანასკნელ ღვარეულებს ამთავრებს ალექსანდრე პოლტორაცკი. ჩვენს თვალწინ გაიზარდა ეს ადამიანი. არმიამდე ბრიგადაში მუშაობდა ტრაქტორისტად. მოათავა დაწესებული ვადა, დაბრუნდა მექანიზატორთა მშობლიურ ოჯახში. მთელი ზამთარი იმეცადინა, კომბაინს სწავლობდა და ახლა მარცვლის თვითმავალის ბოგაზეა. რა ვუყოთ, რომ დღის განმავლობაში მოსავალი გალეწილია მხოლოდ 7 ჰექტარზე. სამაგიეროდ ბუნკერიდან გასცა 300 ცენტნერი მარცვალი, ივარაუდე ჰექტარზე 43 ცენტნერი! ამჯერადაც შეაქეს ალექსანდრე, გარდამავალი წითელი ალამი გადასცეს. კომკავშირელ კომბაინერს მარცვლის ლეწვის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს კოლმეურნეობაში. მაღლობას გიდღვნით, ალექსანდრე, შენც, ალექსი პოპოვიჩენკო! გრიგოლ კრივჩენკოსაც, სტეფანე ილიევსაც - თქვენ ყველას, მექანიზატორებს, დიდი მაღლობა მოსაზრებულობისათვის, ინიციატივისათვის, პურის მოყვანაში ოსტატობისათვის!

ვუყურებ თვითეულს და ვფიქრობ: სწორედ ესენი არიან მოსავლის ნამდვილი შემოქმედნი. მათი ჭეშმარიტად თავდადებული, გმირული შრომით მოყვანილი და გადარჩენილია მოსავალი. უკან დარჩა ბევრი დიდი შეშფოთება. წელს კი იგი ძლიერ გვაწუხებდა. შემოდგომიდან მარცვალს მშრალ მიწაში ვთესავდით. ზამთარი მკაცრი იყო, უთოვლო. გაზაფხულიც არ

მოვიდა კეთილი - ადრე დადგა და ქარიანი იყო. ზაფხულიც ვერ იყო კარგი - მოდიოდა კოკისპირული წვიმები, სეტყვა. ახლა თუ ყველაფერი ნორმაში გვაქვს, პირდაპირ უნდა ითქვას, გვიხსნა მხვნელ-მთესველურმა გამოცდილებამ, აგროტექნიკამ - ყოველივე იმან, რასაც მოწათმოქმედების მაღალ კულტურას ვუწოდებთ. მოხარული ვარ: პური მივიღეთ. და არა მარტო ჩვენ, ნოვოუკრაინკელებმა. მთელ ოლქში მოსავალი საკმაოდ კარგია. 640 ათასი ჰექტარიდან თვითეულზე გავლევით 25 ცენტნერზე მეტი მარცვალი. მაგრამ კიროვოგრაფდშიჩინა ჯერ კიდევ მთელი უკრაინა როდია. არის ოლქები, სადაც შემოდგომის ნათესები დაილუპა. გული გვტკივა, მაგალითად, პურიანი ტავრიისათვის - ხერსონელებს, როგორც ვიცი, ბევრის ხელახლა თესვა მოუხდათ, ყირიმელებსაც. ჩვენმა მეზობლებმა პოლტაველებმა და დნეპროპეტროვსკელებმა აგრეთვე დაკარგეს ათეულ ათასობით ჰექტარი. რა თქმა უნდა, ეს დაკარგული ფართობები როდია, იქ დათესილია სიმინდი, სხვა კულტურები. მაგრამ უკრაინის მთავარი პური ხომ ხორბალია!

წარსულ დროში ამინდის ასეთ პირობებში ვერ ავიცილებდით შიმშილს ჩვენს მსუყე შავმიწა ნიადაგებზეც კი. მოხუცებს ბევრი საშინელი შიმშილობა ახსოვთ. აი ამას წინათ უაღრესად საინტერესო დოკუმენტიც აღმოჩნდა. მხვნელ-მთესველთა ერთ-ერთ თათბირზე იგი წაგვიკითხა პარტიის საოლქო კმიტეტის პირველმა მდივანმა მ. მ. კობილჩაკმა. ეს არის ამონაწერი მეფის ბრძანებულებიდან „ბუყიდან და ბზის ფქვილიდან პურის მომზადების შესახებ, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ჩვეულებრივი ჭვავის პურის მოხმარება“. მეფე ელისავეტგრადის ხელისუფლებს მიუწერდა: „გააცნეთ სოფლის მცხოვრებთ ამ პურის მომზადებს წესი და ჩაუნერგეთ მეთ მეტი რწმენა, რომ იგი გაცილებით უფრო გემრიელი და ჯანსაღია ბზიან ან ხის ქერქიან პურთან შედარებით, რომელსაც ისინი ამზადებენ“.

აი როგორ იყო საქმე! ჩემს ხსოვნაში, როცა გლეხი თვითონ ეწეოდა მეურნეობას მიწაზე, პური არსობისაც არც თვითეულს და არც ყოველთვის ჰქონდა ჩვენს თემში, მაგალითად, მხოლოდ ოთხი მეურნეობა იყო, რომლებსაც პური მოსავლიდან მოსავლამდე ჰქონდათ - ისინი, ვისაც ცხენები და ინვენტარი შეეძლო შეენახა.

რვა წლისა ვიყავი, როცა დედამ თვალცრემლიანმა რომ მითხრა: „შენ, საშკო, უკვე წამოიზარდე, თვითონ შეგიძლია ლუკმაპური იშოვნო“. და მიმაქირავა მხოლოდ საჭმელზე. ძალიან უმძიმდა მას ჩემი გაზარება, და საჭმელიც მემწარებოდა. მაგრამ რას ვიზამდით: ოჯახს ერთი მჭამელი მაინც მოაკლდა.

ახლა ასეთი რამ არც კი დაესიზმრება ვისმე. ყველა და ყველა, და პური უხვად გვაქვს. აბა შეხედეთ, აი მაღაზიების თაროებზე აწყვია - ხორბლისა თუ ჭვავისა, ნაირნაირი ფუნთუშები, ბლითები, ტორტი, ნამცხვარი და ბურღული. ყველაფერი ეს პურია. ეს ჩვენი დიდი მონაპოვარია, დიდი ბედნიერებაა. და ზოგჯერ გწყინს, რომ ბევრნი, მეტადრე ის ადამიანები, ვისაც შიმშილობის სიმწარე არ უგემნია, არ აფასებენ პურს. ნაჭერს კი არა, მთელ-მთელ პურებს ყრიან. ერთხელ კიროვოგრადში ფეხბურთზე ვიყავი. სტადიონიდან მოვდივარ და რას ვხედავ - ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებიან და პურს ფეხბურთის ბურთივით დააგორებენ. ცარიელ ბოთლებს კი აგროვებენ, რომ მაღაზიაში ჩააბარონ.

პირდაპირ გული გეტკინება: ბოთლის ფასი თორმეტი კაპიკია, ხოლო პური ხომ ფასდაუდებელია. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი ფასი კაპიკებით არ განიზომება. ჩვენში იგი იაფად რომ იყიდება, ეს როდი ნიშნავს, რომ იაფი გვიჯდება. გამომცხვარ პურში არა მარტო მხვნელ-მთესველის შრომაა, არამედ მემანტიც, მეტალურგის, კონსტრუქტორის, ქიმიკოსის, მანქანათმშენებლისაც - მთელი მუშათა კლასის, მთელი საზოგადოების შრომაა. და შემთხვევითი როდია, რომ როცა სტიქია აბობოქრდება, მაშინ არა მარტო ჩვენ, პურის მომყვანთ, მხვნელ-მთესველებს დაგვიმძიმდება გული, არამედ ქალაქელებსაც. მაშასადამე, ვგრძნობთ, სტიქიის ზემოქმედებით ვგრძნობთ. მაშ რატომ არის, რომ ყოველგვარი სტიქიისაგან დამოუკიდებლად, დედის რძესთან არ შეიწოვენ ჩვენი ადამიანები პურისადმი იმ პატივისცემას, რომელიც ჩვენ შეგვიწოვია? სოფლად ბევრ ოჯახში ტრადიციის მიხედვით პურს ჯერ კიდევ ისე ეკიდებიან, როგორც წმიდათაწმიდას. ჩემი შვილიშვილი იროჩკა ოთხი წლისაც არ არის. მას ვასწავლეთ და იცის, რომ არათუ ნაჭერი პური, არამედ ნამცეციც არ უნდა დაიკარგოს. პეშვში დაიგროვებს ნამცეცებს და ჩაყრის სადაც საჭიროა. ასე მიმაჩვია დედაჩემმა, ასე ვასწავლე ჩემს შვილებს, ასე მივაჩვია

შვილიშვილიც. ასე უნდა იყოს ყოველ ოჯახში. თაობიდან თაობას გადაეცემოდეს. მაგრამ ყველგან ასე რომ არ არის! განა საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს? როგორ არა. დამახსოვდა ბევრი გამოსვლა პრესაში, განსაკუთრებით დიდი სჯა-ბაასი „პრავდა უკრაინაში“ ინჟინერ ალექსეევის წერილის გამო „ნაჭერი პური“. რამდენი გამოხმაურება იყო, რომლებშიც სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები ღრმა შეშფოთების გრძნობით ლაპარაკობდნენ, პურს მფლანგველურად ვეკიდებითო. საქმიანი წინადადებებიც ცოტა როდი იყო გამოთქმული. მერე რა შეიცვალა?

გულისტკივილით ვუცქერი სასოფლო გზებს: თუმცა აღარც ისე ხშირად, მაგრამ ბევრჯერ შეგხვდება დაბნეული ქარვასავით მარცვალი. აბა შეიხედეთ დღეს ჩვენს ნოვოუკრაინკაში. გაიარეთ კაფეებსა და სასადილოებში, ნახეთ, როგორ ჭრიან პურს სქელ ნაჭრებად, გორად დადგამენ მაგიდებზე. ხედავ - ერთი დანას ფერავს პურით, მეორე ჩანგალს წმენდს, გგონია ცოცხალ სხეულში გიყრის. ლუკმას მოკბეჩს და გადააგდებს. მეორეც მოტეხს და გადააგდებს. რას სჩადიხართ, ხალხო?!

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ საზღვარგარეთ, მათ შორის ამერიკაშიც კი. მდიდარი ქვეყანაა, პურს კი შეხედავ - ყველივით ჭრიან სიფრიფანა ნაჭრებად, ცელოფანის პაკეტებში აწყობენ. საუზმიდან თუ სადილიდან ნახევარი ნაჭერი რომ დარჩებათ, იმასაც პაკეტში გაახვევენ და ჯიბეში ჩაიდებენ. ძვირია იქ პური, ყველასთვის როდია ხელმისაწვდომი. არ ვამბობ, რომ ჩვენში პური უფრო ძვირად უნდა იყიდებოდეს. საზღვარგარეთულ ყაიდაზე არ ვიცხოვრებთ. მაგრამ ყაირათიანობა რომ ვისწავლოთ, ეს კი ზედმეტი არ იქნება. იმიტომ რომ ჩვენი სახალხო სიმდიდრეც ყაირათიანობიდან წარმოდგება. სინდისიც უნდა აწუხებდეს ადამიანს.

მეტსაც ვიტყვი. სწორედ სინდისი უნდა სჯობნიდეს ანგარიშს, სადავით ეწეოდეს ყაირათიანობას. ჩვენში კი ზოგჯერ რა გამოდის? გაზეთში გააკრიტიკებენ ვისმე მანქანისადმი უდიერად მოპყრობისათვის, ელექტროენერგიის, სათბობის, ნედლეულის დანაკარგისათვის - გაიხედავ, და იუწყებიან: ესა და ეს დაუსჯიათ, აქა და აქ წესრიგი დაუმყარებიათ. ხოლო ასევე სასტიკად რომ სთხოვდნენ პასუხს პურისადმი დაუდევრად მოპყრობისათვის, ასეთი ცნობა პრესაში დიდი ხანია აღარ

შემხვედრია. აი სწორედ აქ მინდა გამოვთქვა აზრი, რომელიც მაწუხებს: საჭიროა პასუხისმგებლობა პურისადმი ყაირათიანად მოპყრობისათვის თავიდან ბოლომდე: ქვემოდან ზემომდე, ზემოდან ქვემომდე, ოჯახიდან - მინისტრთა საბჭომდე, პასუხისმგებლობა პერსონალური და საზოგადოებრივი.

მახსოვს ორიოდე წლის წინათ, პრესის გამოსვლების შემდეგ, იყო ცდები მოეწყოთ პურის ნარჩენების შეგროვება საცხოვრებელ სახლებში, სასადილოებში, კაფეებში, რესტორნებში. კიროვოგრაღში ვედროებსაც კი დაატარებდნენ ბინებში, პატარა ავზებს დგამდნენ ეზოებში. რა თქმა უნდა პურის ნარჩენების შეგროვება - ეს კიდევ არ არის ის ყაირათიანობა, რომელზეც მე ვლაპარაკობ. პურს ისე უნდა ვეპყრობოდეთ, რომ ნარჩენები არ იყოს. ხოლო რაკი ნარჩენები არის, მათ საქმეში უნდა ვიყენებდეთ. მაგრამ საქმეზე ხელი ჯეროვნად ვერ მიუწვდებათ. დიდი ხანია აღარ არის ავზები ეზოებში. პურის ნარჩენების წასაღებად „ნაქუჩარ“ ვედროებში დიასახლისები როგორც ყრიდნენ, ისევე ყრიან პურთან ერთად ყოველნაირ ნარჩენებსა და ნაგავს, და ყოველივე ეს საერთო სანაგვეში მიდის. აქა-იქ საზკვება ნარჩენებს აწვდის პირუტყვის სასუქებლად. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ქალაქში ყველა დიდ საცხოვრებელ სახლს გაცილებით მეტი ნარჩენები აქვს, ვიდრე რომელიც გნებავთ სასადილოს. უბრალო არითმეტიკაა, კიროვოგრაღში თითქმის 200 ათასი კაცი ცხოვრობს. ეს დაახლოებით 60 ათასი ოჯახია (თუ ვიანგარიშებთ, რომ ოჯახი საშუალოდ სამი ადამიანისგან შედგება). ავიღოთ სულ ცოტა: თვითეულ ოჯახში ყოველდღე ნარჩენებში მიდის ასი გრამი პური. ქალაქში ეს ექვსი ტონაა. ანუ ყოველდღე ქვეყნის პურის ყანიდან სამი ჰექტარი მარცვალი იკარგება ჰექტარზე ოცი ცენტნერი მოსავლიანობით. წელიწადში, მიახლოებულად რომ ვთქვათ, 1095 ჰექტარი გამოდის. ხოლო რამდენი ასეთი ქალაქი გვაქვს, როგორც კიროვოგრაღია!

ჰოდა აი, სწორედ ამიტომ მინდა დავუბრუნდე იმ საყოველთაო პასუხისმგებლობას, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე. პურისადმი ყაირათიანად მოპყრობისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გახდეს, რომლითაც საზოგადოების მთელი ცხოვრება უნდა განიმსჭვალოს. მიმაჩნია რომ ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა. და პირდაპირ უნდა ვთქვათ: აქ მარტო

საზოგადოებრიობას ვერ დავეყრდნობით. საზოგადოებრიობა დიდი ძალაა, როცა არის მუდმივად მოქმედი, დაკანონებული, მორგანიზებული საწყისი. საწყისი, რომელტანაც წესდება თანამდებობის პირთა, კოლექტივების ხელმძღვანელთა, ოჯახის პასუხისმგებლობა.

შევეხები ჩემთვის გაუგებარ ერთ მოვლენას. ჩვენს ქვეყანაში არის „ვტორჩერმეტი“, „ვტორცვეტმეტი“, „ვტორსირიო“ (მეორადი შავი ლითონის, მეორადი ფერადი ლითონის, მეორადი ნედლეულის გაყიდვისა და გადამუშავების ორგანიზაციები). ყველაფერი დაკანონებული, შეტანილია გეგმაში, მისი შესრულებისთვის დაწესებულია წახალისება და სასტიკი პასუხის მოთხოვნა. რატომ არ არის „ვტორხლებ“ (პურის ნარჩენების გაყიდვა - გადამუშავება)? განა პური ნაკლებად ფასეულია, ვიდრე ჩვარი თუ რკინა? განა ცუდი იქნებოდა ასე გაგვეკეთებინა: იმავე „ვტორხლების“ საცვლელ პუნქტში, ან იქნებ უბრალოდ პურის ფარდულში მოქალაქემ მიიტანოს სამი-ოთხი კილოგრამი ნახში ან ფაშარი პური, ნაცვლად კი მიიღოს ფული ან პროდუქტები? რატომ არის, რომ ცარიელ ბოთლს ღირებულება აქვს, ფაშარ პურს კი არა? ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავდადებული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითეული ფუთი პურის, ნახშირის, რკინის, და სხვა პროდუქტების დაცვისთვის, რომლებიც მთელი საზოგადოების კუთვნილებაა. ხომ შეამჩნიეთ: ყაირათიანობაში პური პირველ ადგილზეა!

მაშ რატომ არის რომ აღმასკომების სხდომებზე, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების სესიებზე ელექტროენერგიის, სათბობის, ლითონის ეკონომიის საკითხებს განიხილავენ, პურის დაზოგვა კი თითქოს სულაც არ ესაქმებათ?

მე მეტს ვიტყვდი. უნდა გავუფრთხილდეთ არა მარტო გამომცხვარ პურს, არამედ მარცვალსაც, გზები აქ სხვადასხვაა. აი გაჩაღდა საკოლმეურნეობათასოროსო კომბინირებული საკვების ქარხანათა მშენებლობა. კიროვოგრადის ოლქში ისინი აშენდება 21, თვითეულ რაიონში. ეს ძალიან კარგია: გაცილებით ნაკლები პური დაიხარჯება პირუტყვის საკვებად. წარმოიდგინეთ: მარტო ჩვენს კოლმეურნეობას ზაფხულის დამდეგისათვის განწესების მიხედვით 75 ტონა კომბინირებული საკვები დააკლდა. რა უნდა

გვექნა? იძულებული გავხდით გულისტკივილით გვეკვება პირუტყვი მეორე რეპროდუქციის პირველი კლასის ქერით. ხოლო რამდენ გამომცხვარ პურს აჭმევენ საშინაო მეურნეობაში ღორებს, ფრინველს! ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ახლა რესპუბლიკაში ითესება მრავალწლიანი კულტურული საძოვრები, ეწყობა თივის ფქვილის, სენაჟის წარმოება. ყველაფერი ეს მკვეთრად შეამცირებს მარცვლის ხარჯვას პირუტყვის საკვებად, გაამრავლებს პურის რესურსებს. ოღონდ სასურველია, რომ მეცხოველეობის თანამედროვე საკვებ ბაზაზე გადაყვანის ამ დიდი გეგმების შესრულებისათვის, კომბინირებული საკვების ქარხნებისთვის საჭირო კომპონენტების, გრანულატორებისა და სხვა მოწყობილობის დროზე მიწოდებისათვის პასუხისმგებლობას გრძნობდნენ მიმწოდებელ საწარმოთა შრომითი კოლექტივები. პურზე ზრუნვა ხომ საყოველთაო სახალხო ზრუნვაა!

აქ თავიანთი როლი უნდა შეასრულონ კვების მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროებმაც, კოოპერატორებმაც. გონივრულია თუ არა მხოლოდ კილოგრამიანი და ორკილოგრამიანი პურების გაყიდვა? ხომ შეიძლება უფრო ნაკლები პორციების გამოცხობა და დაჭრილი პურის დაფასოების მოწყობა. ცელოფანი ახლა ისეთ პრობლემას აღარ წარმოადგენს. მისი ან პოლიეთილენის აფსკის პატარა პაკეტები თვითეულ მაღაზიაშია, ოღონდ პურისათვის კი არა. აფსკში ჩადებული პური ხომ არა ხმება, ეს აფსკი ჰიგიენურია. პაკეტის ღირებულება შეიძლება პურის ფასს მიემატოს. ზედმეტი კაპიკის გადახდის წინააღმდეგი არავინ იქნება. ის გაცვლითი პუნქტებიც, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკე, ვაჭრობის ინიციატივიან მუშაკებს არ გაუჭირდებათ მოაწყონ ზემოდან განსაკუთრებულ მითითებათა დაულოდნელად.

მე არ ვკისრულობ რეცეპტების მოცემას ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის. წინადადება შეიძლება ბევრი იყოს. დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ რამეს: რომ ადგილობრივმა საბჭოებმა ეს საკითხი კარგად მოიფიქრონ და გადაწყვიტონ კონკრეტული პირობების მიხედვით. სწორედ საბჭოებმა უნდა დარაზმონ პურისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისათვის მთელი საზოგადოებრიობა, ჩააბან ამაში ადმინისტრაციული ორგანოები, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორები, სახლმმართველობათა აქტივი, პროფკავშირები, კომკავშირი, პიონერია. გავლენა მოახდინონ ბავშვების, ახალგაზრდების აღზრდაზე. ეს იქნებოდა

საზოგადოებრიობისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ის კავშირი, რომელიც უზრუნველყოფდა სასურველ შედეგს.

ჩვენი საბჭოთა სამშობლო მდიდარია პურით, იგი საკმაოდ იქნება წელსაც. არც ნამცხვრები, არც ფუნთუშები, არც ტორტები ჩვენში არ გამოილევა. და მენამცეცეობის გამო კი არ ვეწევით საუბარს მომჭირნეობის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ მომჭირნეობა სიმდიდრის დედაა, ჩვენი სამშობლოს - სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

იქნებ, ამ ფიქრებში რაიმე მეშლებოდეს, მაგრამ სინდისი ნებას არ მაძლევს ვდუმდე, როცა ვხედავ უწესრიგობას, უპატივცემულო დამოკიდებულებას პურისადმი, რომელიც ჩვენი ხალხისთვის მუდამ წმიდათაწმიდა იყო.

(„პრავდა უკრაინი“, 5 აგვისტო)

633.1+6 П 8.2 (С)

633.11+664.6 (47)

ბ 531

А. ГИТАЛОВ

Дума о хлебе

(На грузинском языке)

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, 1972

გადაეცა წარმოებას 28/VIII-72 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IX – 72 წ.

ქაღალდის ფორმატი 70x108 1/32.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 0,45

ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 0,7.

ფასი 3 კაპ.

შეკვ. 2880 ტირ. 10.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა

თბილისი, ლენინის ქ. № 14.